Energy & Character

International Journal of Biosynthesis
Pre-and Perinatal Psychology
Somatic Therapy and Transpersonal Psychology
Somatic and Depth Psychology Oriented Psychotherapy

Free Article

SOMA, SELF AND SOURCE

by Dr. hc. David Boadella

Translated by Salome Meladze (Master of clinical psychology, Batumi State University)

Edited by Nana Mikashavidze

ავტორი: დავიდ ბოადელლა «სომა, თვითობა და წყარო“
ჟურნალი «ენერგია და ხასიათი» # 21, 1990, 2

მთარგმნელი: სალომე მელაძე (კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი)
რედაქტირება: ნათია მაზიაშვილი

ექიმი დავიდ ბოადელა

1. სომა და ჯავშანი

ყველამ იცის განსხვავება სიმსუბუქესა (ინგლ.ease) და ავადმყოფობას (ინგლ. dis-ease) შორის. სიმსუბუქის დროს ჩვენს სხეულში თავს ვგრძნობთ როგორც სახლში, ჩვენ ვართ მთელი (ჯან-მრთელი), გამთლიანებული და არ ვართ დანაწევრებული შინაგანი კონფლიქტით.

ავად ყოფნის დროს ჩვენ ვართ დაძაბული, ჩაკეტილი, გადაუჭრელი ემოციური მდგომარეობებით სავსე, საკუთარ თავთან ან სხვებთან ბრძოლის მდგომარეობაში, უბედური, ნევროტული, ისე, რომ ეს ფიზიკურ ავადმყოფობაშიც კი გადადის. ფიზიკური სხეული, მისი გენეტიკური მემკვიდრეობის და გარემოდან მიღებული ზეგავლენის გარდა, არის ემოციების, აზრების, გრძნობების და ღირებულებების (რომლებსაც ჩვენ განვასახიერებთ) კოდირებული საცავი. რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში რთულია ამ განსხვავებული სფეროს ზეგავლენის განცალკევება, პოპულარული გახდა ტერმინი „სხეული-გონება“. ის გამოხატავს აზრების, გრძნობების და მოქმედებების(ქმედებების) ერთიანობას. გერმანულ ენაში ეს არის სიტყვა “leib“, რომელიც არის წმინდა ფიზიკურის

©International Institute for Biosynthesis IIBS, CH

გამომხატველი სიტყვის "körper" საპირისპირო. ბერძნულ ენაში სიტყვა "soma" ახლოსაა სიტყვასთან "form". ჩვენი სომა შედგება ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული და დაკავშირდებული სხეულის სფეროებისგან. სიტყვა სომა გამოყენებულია ახალ აღთქმაში პავლე მოციქულის მიერ და მოიცავს არაფიზიკური სხეულსაც, სინათლის სხეულს ან "აღდგომის სხეულს".

ამგვარად სომას მნიშვნელობა არის ახლოს სიტყვა სულთან; სიტყვა სული არის ბერძნული სიტყვა „ფსიქეას"-ს თარგმანი. ადამიანები ათასწლეულების განმავლობაში ფიქრობდნენ სულისა და სხეულის ურთიერთობაზე. წარმოდგენილი სხვადასხვა მოსაზრებიდან, რაიხის „ფსიქო-სომატური იდენტობა და ანტითეზისი" საუკეთესოდ აღწერს კავშირს ფიზიკურ ფორმებსა და ცნობიერების სხვადასხვა ველს შორის, რომლებშიც ჩვენ შეგვიძლია ამოვიცნოთ „გონების" სხვადასხვა დონეები. კლინიკური სიკვდილის გამოცდილებები ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ სახის ურთიერთობა წყდება და ცნობიერების დონეს შეუძლია შეინარჩუნოს მკაფიო ფორმა მაშინაც, როდესაც სხეული მკვდარია. შეიძლება უფრო სწორი იყოს, რომ დავინახოთ ჩვენი სხეული, როგორც ჩვენი სომას კონკრეტიზაცია, მისი ფორმა.

"ჯავშანი" არის ტერმინი, რომელიც გამოიყენა ვილჰელმ რეიხმა, იმისათვის რომ დაეხასიათებინა ფიზიოლოგიური და ფსიქიკური თავდაცვის ხერხების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება ბალანსის დაკარგვის, კონტაქტის დაკარგვის და უბედურების დროს. ჯავშანი გულისხმობს პულსის შემცირებას, ქსოვილების ზედმეტად დაჭიმვას ან მოდუნებას, აზრების, ხასიათის და მოქმედების არასინქრონულობას. ბევრი თეორია იყო შემოთავაზებული რეიხისა და სხვების მიერ ადამიანის ჯავშნის წარმოშობის პროცესის შესახებ, ადამიანის საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედების, კულტურის ბუნების წინააღმდეგ მოქმედების, ემოციურ ცხოვრებაში შინაგანი უდაბნოს შექმნის შესახებ, რაც თავის მხრივ ქმნის გარეგან უდაბნოს: ეკოლოგიური კოშმარის შესახებ, რითაც ვაზიანებთ ჩვენს პლანეტას.

მნიშვნელოვანი აქ არის არა ე.წ. „სეკვესტრის"-ის ღრმა პროცესის მიზეზები, არარიგიდული კედლების აშენება იმისთვის, რომ გაუქმდეს კომუნიკაცია მთლიანის ნაწილებს შორის, არამედ მკაფიო განსხვავება ორ სფეროს შორის: ჯანმრთელ სომას, რომელიც ბუნებრივი პროცესებით იქმნება, გრაციოზულია, მოქნილი, და რიტმში საკუთარ თავსა და სხვებთან და ჯავშანასხმულ სხეულს, რომელიც მოწყვეტილია დაკავშირებულობის სიღრმისეულ შეგრძნებებს, გახვეულია ნევროტული დაცვის მექანიზმებში, და დაჭიმული ან გათიშულია ცხოვრების დაბლოკილ ან დაჭაობებულ დინებაში.

ეს ძირითადი განსხვავება აღწერილია რეიხის მიერ, როგორც პირველადი და მეორადი გამოხატულებები. პირველადი გამოხატულება არის ორიგინალური, დაუმახინჯებელი, მკაფიო, კარგად ფუნქციონირებადი; მეორადი კი არის შეზღუდული, ჩარჩოებში მოქცეული, შემოსაზღვრული, დაბნეული, დარღვეული და ხშირად დამანგრეველი. რეიხმა დაამატა მესამე კატეგორია, რომელსაც მესამეული უწოდა, ის არის მცდელობა დაფაროს დამანგრეველი და პათოლოგიური მეორე სფერო და წარმოგვიდგინოს ყალბი ფრონტი.

სტენლი კელმენმა საკუთარი ცხოვრება ფორმაციის პროცესის შესწავლას მიუძღვნა და დაახასიათა დეფორმაციები (ანუ დამახინჯებული ფორმები), რომლებსაც ჩვენ

Free Article

წარმოვქმნით დეფექტური კულტურული ადაპტაციის დროს. ის საუბრობდა განსხეულებაზე, როგორც შინაგანი ფლუიდების ტალღებსა და რითმებს შორის კავშირზე, რომლებიც მოძრაობენ პროტოპლაზმის ზღვისკენ, რაც უჯრედის სულია. რეიხმა განმარტა ნევროზი, როგორც ბრწყინვალების დაკარგვა პროტოპლაზმაში, შესაბამისად თერაპიის მიზანი არის სწორედ ამ ბრწყინვალების დაბრუნება.

2. არაფერია(არა მატერია) , არა უშავს (არა გონი)

თუ აზროვნება არ შეიძლება გავათანაბროთ ტვინთან, როგორც ამტკიცებდნენ ჯონ ეკლეს (John Eccles) მსგავსი ცნობილი ნეიროფსიქოლოგები, მაშინ ჩვენს ვცხოვრობთ ორმაგ (უნი-დუალურ) სამყაროში. ტვინი და გონება შეიძლება იყოს დაწყვილებული (ერთიანობა და „იდენტობა“), მაგრამ ასევე შეიძლება იყოს განცალკევებული (დუალობა და ანტითეზისი). ბევრი მტკიცებულება არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ტვინი არის ბუნების მაღალორგანიზებული ნაწილი, რომელსაც უკავია გარკვეული ადგილი დროსა და სივრცეში და დაცულია თავის ქალით; ხოლო გონი არის არა-ლოკალური და ფუნქციონირებს ოთხგანზომილებიანი სამყაროს საზღვრებს გარეთ. ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩატარებული პარაფსიქოლოგიური და პარაფიზიოლოგიური გამოკვლევები წარმოადგენს ამ მსჯელობის მტკიცებულებას. ამის მტკიცებულება არის ასევე თანამედროვე კვანტური ფიზიკა, რომელიც ასევე ასკვნის, რომ იგივე უნი-დუალობა ფუნქციონირებს ბუნების წიაღში. წიგნში QUANTUM SELF, დუალობის ეს კავშირი ატომამდელ რეალობას და ტალღოვან ნაწილაკების შორის, შექმნილია გონების და ტვინის ურთიერთქმედების მოდელისთვის. კვანტური ფიზიკა, მატერიის ყველაზე ღრმა საიდუმლოებების შესწავლის დროს, აწყდება იმ ჯიუტ ფაქტს, რომ მისი თავისებურებები მუდმივად დაკავშირებულია გონის თავისებურებებთან. სწორედ ეს წარმოადგენს კვანტური ინტერპრეტაციის ეგრეთ წოდებულ „დამკვირვებლის“ პრობლემას, რომელიც 60 წლის განმავლობაში რჩება გადაუჭრელი, სანამ ფიზიკოსები ებრძვიან რეალობის ასეთი ხედვის თეოლოგიურ-ფილოსოფურ გავლენას. ამ საკითხის შესახებ კარგად საუბრობს ნიკ ჰერბერტი, საკუთარ წიგნში კვანტური რეალობა.

Free Article

აინშტაინის კოლეგამ, ინგლისელი ფიზიკოსმა დევიდ ბომმა შემოიტანა ბუნების წყობის ორი განსხვავებული მოდელი, რასაც ის უწოდებდა ღია და ფარულ მოდელებს. მან შემოიტანა იდეა, რომ არსებობს სიმკვრივის სპექტრი ანუ აშკარა (ღია) რეალობა, რომელშიც მატერიალიზდება ის, რაც მოდის დაფარულ რეალობაში არსებული პოტენციალის განხორციელების შედეგად. აქედან გამომდინარე მისი შეხედულება მატერიის ბუნების შესახებ არის შემდეგი: მატერია იმ ფორმით, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და ვზომავთ სინამდვილეში წარმოადგენს რაღაც უფრო ნატიფი ენერგიის მანიფესტაციას. ჩვენ შეგვიძლია მასზე ვარაუდი, პოსტულატების და მათემატიკური გათვლების გაკეთებაც, მაგრამ ის მიუწვდომელია ჩვენი ხუთი ფიზიკური გრძნობისთვის, მიუხედავად იმისა თუ რა სახის ინსტრუმენტია შექმნილი ამ გრძნობების გასაძლიერებლად ან მათ გასაუმჯობესებლად.

იუტლანდის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ფსიქოლოგიის ცენტრში, მრავალი წლის განმავლობაში ირლანდიელი მედიტაციის მასწავლებელი ბობ მური, ატარებდა

კურსებს შინაგანი განვითარების შესახებ, რომლებიც იმ დელიკატური განზომილებების შეგრძნებების სენსიტიურობის ამაღლებისკენ იყო მიმართული, რომლის არსებობას უფრო და უფრო მეტი ფიზიკოსი აღიარებს. როჯერ პენროუზი, მსოფლიოში ცნობილი კოსმოლოგი და ასტროფიზიკოსი დაეთანხმა წიგნში „კვანტური თვითობა“ მოცემულ დასკვნებს, რომ თავად გონი, როგორც ასეთი, არის კვანტური პროცესი.

დალაი ლამასთან საუბრის დროს, დავიდ ბომმა ამგვარად წარმოადგინა თავისი შეხედულებები: „რაც უფრო ღრმად ეცნობით მატერიის თვისებებს, მით უფრო ხვდებით რომ მას ბევრი დელიკატური თვისება აქვს... ჩემი აზრით, ფიზიკას იმ შედეგამდე მივყავართ, რომ იძულებული ვართ დავასკვნათ, ბუნება იმდენად დელიკატურია, რომ ის შეიძლება იყოს ცოცხალი და ჭკვიანი....“

ბომმა, შემდეგში განავითარა თავისი მოსაზრებები და აღწერა დელიკატური და მკვრივი ფორმების უნიდუალობა ტერმინით „სომა-მნიშვნელობა“. სომას ჩამოყალიბება ხდება იმ მნიშვნელობების მეშვეობით, რომელსაც ჩვენ ვუკავშირდებით, ის არის ინტერნაციონალობის, არსებობის ღირებულებების და ხარისხის შედეგი. თავის მხრივ, სწორედ ეს ღირებულებები გვეხმარება ან გვიშლის ხელს, წინ მიდის ან ნელდება ჩვენი სომატური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. არსებობს ურთიერთკავშირი და ურთიერთქმედება გარე სამყაროს ან უშუალოდ ჩვენს ირგვლივ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, და კონკრეტული სხეულის, კონკრეტულ ქვეყანაში, კონკრეტულ ქალაქში ეგზისტენციალური მოგზაურობას, ისევე როგორც პერსონალური მითის შინაგან მნიშვნელობას, არქეტიპულ მეხსიერებას და მითური რეალობის სფეროს შორის, რომელიც სცდება დროს და სივრცეს.

Free Article

იუნგი განასხვავებს ამ ორ განზომილებას, როგორც ეგოს განზომილებას და თვითობის განზომლებას. ხარმიდ ალი მოიხსენიებს მიწის ადამიანს და სულის ადამიანს. სტიუარტ ვაიტი, წიგნში, რომლითაც მოიხიბლა იუნგი, განიხილავს დამოკიდებულებას მკვრივი მატერიის „ფარდაჩამოფარებულ“ სამყაროს ანუ სამყაროს, როგორსაც ჩვენ აღვიქვამთ და „ხელუხლებელ“ სამყაროს, რომელიც ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფება ყოველივე იმის საზღვრებს გარეთ, რისი მანიფესტაციაც მოხდა.

ბიოლოგმა რუპერტ შელდრეიკმა, გარკვეული პერიოდის წინ ააღელვა და განარისხა მეცნიერული სამყარო საკუთარი ჰიპოთეზით იმის შესახებ, რომ ფორმის ჩამოყალიბება ხდება არა მხოლოდ ბიოქიმიური ფიზიკური პროცესების მეშვეობით, არამედ არალოკალური მორფული ველებით, ამ ველებს არ აქვს ხილვადი ენერგია, მაგრამ ისინი ქმნიან შაბლონს, დიზაინს და ინფორმაციას. თუ ეს მოფრული ჰიპოთეზა არის რეალური, მაშინ, ეს მხარს უჭერს მსოფლიოს მრავალი რელიგიის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ნატიფი ენერგია აყალიბებს მკვრივ მატერიას, ისევე, როგორც ტალღას გააჩნია პოტენციალი შექმნას ნაწილაკი. ბრაზილიელმა ფსიქოფიზიკოსმა ჰერნანი ანდრადემ შემოგვთავაზა მსგავსი იდეა რამდენიმე წლით შელდრეიკზე ადრე, ეს იყო მსგავსი მოდელი, რომელსაც ერქვა „ბიოლოგიური ორგანიზაციული მატრიცა“ , რაც აღწერდა მცირე ინფორმაციული ველის არსებობას, რომელიც აყალიბებს და მიმართავთ ფიზიკური სხეულის შექმნის პროცესს, რისი ახსნაც, მხოლოდ გენეტიკაზე დაყრდნობით ვერ ხერხდება. ბიოლოგები გამოყოფენ „აღმავალ და დაღმავალ მიზეზობრიობას“. პირველში დაბალის მეშვეობით ხდება მაღალის ფორმირება, მეორეს შემთხვევაში მაღალი ორგანიზმები ახდენენ დაბალის ორგანიზებას.

ბუნების ამ ორი წყობის უნიდუალობა, რომელსაც ჩვენ დელიკატურს და მკვრივს ვუწოდებთ, ჩანს ასევე ლონგჩენპის ნაშრომებში, სადაც ის საუბრობს „ამ მხარეზე„ და „სხვა მხარეზე“. ჩვენ შეიძლება ვარსებობდეთ „ლუქსონის კედლის“ ორ მხარეს, ერთ მხარეს მატერიალური სამყაროა, რომელიც შეისწავლება მეცნიერების მიერ და მეორე მხარე, სინქრონულობის და არა-ლოკალურობის ზებუნებრივი სამყარო.

3.არსისა და მთლიანობის მატრიცა

წინა თავებში განვიხილეთ ორი განსხვავებული პოლარობა. პირველადი და მეორეული ცხოვრების გამოხატულების პოლარობა და ბუნების წყობის დელიკატური და მკვრივი ფორმების პოლარობა. ბევრი გაურკვევლობა იყო გამოწვეული ამ ორ პოლარობას შორის განსხვავების პოვნის გამო. ამ პოლარობებს აქვთ დიდი მნიშვნელობა ადამიანებთან ბიო-სულიერი მუშაობის ნებისმიერი ფორმის დროს, რადგან ბევრი ადამიანი სულიერების ინტერპრეტირებას ახდენს, როგორც სხეულისთვის თავის არიდების პროცესს და ბევრი რელიგია, ისეთი სახით, როგორც ხდება მათი ინტერპრეტაცია ქადაგებს, რომ ცხოვრება არის ხაფანგი. ჩვენ შეგვიძლია ამოვხსნათ ეს გაურკვევლობა მარტივი, ორი ღერძისაგან შემდგარი მატრიცის შექმნით. ვერტიკალური ღერძი წარმოადგენს სიმკვრივის სპექტრს, ჰორიზონტალური ღერძი კი- წარმოადგენს პოლარობას მთლიანობასა და ფრაგმენტირებას შორის.

Free Article

ბუნების წყობა დელიკატური ენერგეტიკის ფონზე,

ბუნების წყობა მკვრივი მატერიის ფონზე

პირველადი მთლიანობა

მეორადი ფრაგმენტირება.

ვერტიკალური ღერძის ზედა და ქვედა ნაწილებისთვის არსებობს ბევრი მეტაფორა. აი რამდენიმე მაგალითი:

ნატიფი	მკვრივი	(კვანტური ფიზიკა, ბომი, ბუდიზმი)
დაუბრკოლებელი	დაბრკოლებული	(სტიუარტ ვაილი, იუნგის ციტირება)
ღია	დახურული	(კვანტური ფიზიკა, ბომი)
მორფული	ენერგეტიკული	(რუბერტ შელდრეიკის ფორმატიული ბიოლოგია),
ქვე-მიზეზობრიობა	ზ ე - მიზეზობრიობა	(დონალდ კემპბელი)
შიდა საყრდენი	გარე საყრდენი	(ბიოსინთეზი)
„ცა“	„მიწა“	(ჩინური აკუპუნკტურა)

არსი	არსებობა	(ფილოსოფია)
„წარმოსახვითი“	„რეალური“	(ჟან შარონი, რთული ფარდობითობა)
ზეციური	მიწიერი	(ჰენრი კობინი, სუფიზმი)
პურუშა (purusha)	პრაკრიტი (Prakriti)	(ინდუისტური ფილოსოფია)
ცნობიერება, გონი	დრო და სივრცე	(ნეოგნოსტიკური ფიზიკა)
არალოკალური	ლოკალური	(ბელის თეორემა)
სხვა მხარე	ეს მხარე	(Longchenpa)

მეორე პოლარობა შეიძლება აგრეთვე წარმოდგენილი იყოს დაწყვილებული საპირისპირო ცნებების სიით:

პირველადი და მეორადი	(რეიხი, ლონგჩენპა)
არსი და ეგო	(სუფიზმი, ხამედ ალი, ნეოგნოსტიკური ქრისტიანობა)
განვითარება და საზღვრებში მოქცევა	(ბიოსინთეზი)
ბირთვი და ხასიათი სომა და ჯავშანი	(ბირთვული ენერგეტიკა)
სომა და ჯავშანი	
ვერტიკალური და ჰორიზონტალური	(ნეოგნოსტური ფსიქოლოგია: ჰარი ზუკავი)
ცხოვრებისეული დინება და ხაფანგი	(ვილჰელმ-რეიხი)
მდელო და სცენა	(ვილჰელმ რიჩი; კოსმიური თანრიგი)
მთლიანობა და ფრაგმენტირება	(ჰოლონომია; დევიდ ბომი)
სამოთხე დედამიწაზე; ჯოჯოხეთი დედამიწაზე	(ქრისტიანობა)
ოკეანური უდაბნო	(პლანეტარული ეკოლოგია, ვილჰელმ რეიხი),
წესრიგი/უწესრიგობა	(ტელენომია, თერმოდინამიკა)
ნეგენტროპული/ ენტროპული	(ჰერბერ გიუნტერი)

Free Article

4. სულის ჩამოყალიბება და როლური თამაშები

როდესაც მე ვიყავი 17 წლის, აღტაცებული ვიყავი ინგლისელი პოეტის ჯონ კიტის პოეზიითა და ფილოსოფიით. მან მოახდინა გადამწყვეტი ზეგავლენა ჩემზე გარდატეხის ასაკის მნიშვნელოვან პერიოდში, ჩემს თერაპიულ პროცესთან კონტაქტამდე ან ვილჰელმ რაიხის გაცნობამდე. კიტი ახასიათებს სამყაროს, როგორც „სულის შემქმნელ დაფას". ის ახასიათებს სულს, როგორც ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული პიროვნების ფიგურის ღრმა ცენტრს შექმნილს დაბადებასა და სიკვდილს შორის.

ჯეიმს ჰილმანი, არქეტიპული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების დროს, რომელიც იუნგის იდეებზე დაყრდნობით განავითარა, ასევე მიიჩნევს კიტს, როგორც ერთ-ერთ საწყისს წერტილს მის მიერ სიტყვა „სულის" გამოყენებაში.

ნებისმიერი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ემოციური, მენტალური და ტრანსმენტალური საკითხების დახასიათებაში, შეიძლება გახდეს დიდი გაუგებრობის მიზეზი, რადგანაც ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მნიშვნელობით, საწინააღმდეგო გამოცდილებების დასახასიათებლად, ან საწინააღმდეგო სიტყვები შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა მწერალმა, ერთი და იგივე მნიშვნელობის გადმოსაცემად. საჭიროა, თითოეული ტერმინის მნიშვნელობის დახასიათება ფრთხილად და იმის გარკვევა თუ რა არის მისი მნიშვნელობა, სად გამოიყენება ის და სად არა.

ტერმინი სული არის ბერძნული სიტყვა „ფსიქეა"-ს და ლათინური სიტყვის „ანიმა"ს ინგლისური თარგმანი. აი რამდენიმე მნიშვნელობა მაგალითისთვის:

Free Article

სული	ა. ფსიქეა;
	ბ.არაცნობიერი(პირადი, პრე-პერსონალური, ტრანსპერსონალური)
	გ.ზეცნობიერი
	დ.გონი
	ე. უკვდავი სული;
	ვ. ცნობიერება ზოგადად;
	ზ. ცნობიერება კონკრეტულად
	თ. ანიმა მუნდი, სამყაროს სული
	ი.სხეულის საპირისპირო ცნება;
	კ.სხეულის სიცოცხლე;
	ლ.მოჩვენება;
	მ. სიღრმე, როგორც „სულის მუსიკა", „სულის მკვლობა".

მე გამოვიყენებ სიტყვის მნიშვნელობას კიტსის(John Keats) მიხედვით, როგორც ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ჩამოყალიბებული ღრმა მნიშვნელობის პერსონალური ცენტრი. ამ მნიშვნელობით სულს არ შეუძლია განშორდეს ჩვენს სომატურ რეალობას ჩვენი განსხეულების დროს, და ის ახლოს არის ტერმინთან „პერსონის რაობა“, რომელსაც იყენებენ ეგზისტენციალური ფილოსოფიის მწერლები მუნიერი, ტილიჩი, ტორნერი და სხვები ისევე, როგორც გაბრიელ მარსელი. მაგრამ ტერმინი „პერსონა“ ასევე იწვევს დაბნეულობას.

სიტყვა პერსონა მოდის ლათინური სიტყვიდან “personare”, რაც ნიშნავს იმას, რომ „ხმა მიაწვდინო“. ამ მნიშვნელობით, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენი გამოცდილების სიღმიდან, ვაჟღერებთ ჩვენი გულიდან წამოსულ შინაგან გრძნობებს სხვასთან კომუნიკაციისას, ჩვენ გვაქვს „სული“, ჩვენ ვარსებობთ ჩვენს მთლიანობასთან ერთად. ჰამიდ ალი (Hameed Ali) საუბრობს „პიროვნულ არსზე“სამყაროში ჩვენი არსებობის ამგვარი განსხეულების შესახებ. „სული“ წერდა არისტოტელე, „არის სიცოცხლის უნარის მქონე ფიზიკური სხეულის მთავარი აქტი.“

მაგრამ იგივე სიტყვა, პიროვნება (ინგლ.personality) ასოცირდებოდა ბერძნულ სიტყვასთან ნიღაბი, “persona” რაც ნიშნავდა ნიღაბს, რომელიც ფარავდა მსახიობის სახეს, რომელს ამოფარებულიც ის საუბრობდა იმ როლის მიხედვით, რომელსაც ასრულებდა დრამაში. პერსონა, იუნგის მიხედვით, გამოიყენება ნიღბის აღწერისთვის, რომელიც ფარავს ადამიანის ნამდვილ მეს. გურჯიევის ნაშრომებში, პერსონა გამოიყენება როგორც სინონიმი იმ ცრუ ქცევის პატერნებისა, რომლებიც ყალიბდება ადამიანის ცხოვრებაში ნამდვილი კონტაქტის ადგილას. ნაწილობრივ, ასეთი აღწერა თითქმის იგივეა, რაც რაიხის მიერ გამოყენებული სიტყვა „ხასიათი“ (ბერძნ. ნიშნავს ყალიბში მოქცევას, სტერეოტიპს), რაც აღნიშნავს ჩვენი თავდაცვის პატერნების ფიქსირებულ ნაკრებს, ჩვენს ფსიქოლოგიურ ჯავშანს.

Free Article

პერსონა და პიროვნება, განსაზღვრული ამ მნიშვნელობით, არის მთლიანობის სპექტრის ორი ღერძი, რადგანაც პერსონა არის მთლიანობის მაორგანიზებელი ცენტრი, სისტემის სული, ბაზისური ინდივიდუალობა, რომლის დაყოფაც შეუძლებელია; ხოლო პიროვნება ადვილად იყოფა სუბ-პიროვნებებად, რომლებიც არის როლები, რომლებსაც ჩვენ ვთამაშობთ ჩვენი ნამდვილი ბუნების დასაფარად.

ცხოვრება, როგორც სულის ფორმირების არეალი, არის ცხოვრება, როგორც პიროვნული განვითარების მოგზაურობა, სადაც ჩვენი შინაგანი პოტენციალი და უნარები შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს და აქტუალიზირდეს, მიუხედავად იმ ძალებისა, რომლებიც ზოგჯერ მოქმედებს დაბლოკვის, ფრაგმენტაციის, დისტრესის მიმართულებით.

შემდეგი ტერმინი, რომელიც ქმნის დიდ დაბნეულობას ფსიქო-სულიერ სფეროზე შექმნილ ნაშრომებში, არის - ეგო.

აი ეგოს რამდენიმე განმარტება:

- „მე“, ჩემი თავის ჩემეული შეგრძნება (ფროიდი, გერმანულად).
- ფსიქიკური აპარატი, გონების ნაწილი (ფროიდი, თარგმანში)
- ეგოიზმის ცენტრი (პოპულარული ლექსიკონში)
- რაღაც, რაც გასაძლიერებელია (ეგოს ფსიქოლოგია),
- რაღაც, რაც უნდა მოვიშოროთ (სულიერი სწავლება),
- მთლიანობის მაორგანიზებელი ცენტრი (Blanck and Blanck)
- ფრაგმენტირების ძირითადი მიზეზი (ნეოგნოსტური ფსიქოლოგია),
- საკუთარი თავის ხედვა ან ეგოსეული ხედვა (ბუდისტური ფსიქოლოგია, სუფიზმი)

როგორ გავერკვეთ ამ მრავალფეროვან და ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობებში?

ტრანზაქტულ ანალიზში პიროვნება განხილული არის, როგორც ეგოს ნაწილებისაგან შემდგარი. ეგოს ეს ნაწილები ჰგავს სუბ-პიროვნებებს, როლებს, რომლებსაც ვთამაშობთ. ეს მნიშვნელობა ეყრდნობა ბერნის მიერ, სიტყვა „თამაშის“ გამოყენებას სხვადასხვა სახის თავდაცვის მექანიზმების აღსაწერად, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანების კომუნიკაცია ეგოს სხვადასხვა მდგომარეობებს შორის. ბერმნა შექმნა ასევე სცენარების იდეა, ინტერნალიზირებული მესიჯების სისტემა, რომლის მიხედვითაც ვიქცევით და რაც რეალურად შორს არის ჩვენი ნამდვილი თვითობისგან. ფსიქოდრამაში მთელი თერაპიული პროცესი ეფუძნება ჩვენი დამალული როლების გაცნობიერებას.

Free Article

ვილჰელმ რეიხმა გამოიყენა მდელოსა და სცენის მეტაფორები პირველადი და მეორადი დრაივების პოლარობის აღსაწერად. მდელოზე ყველაფერი ხდება ბუნებრივად და ცხოვრება არის ჰარმონიული. სცენაზე კი ყველაფერი არის ხელოვნური, დადგმული, ეს არის არარეალობის შენიღბული დრამა. შეგვიძლია დავინახოთ დრამა ორი გადმოსახედიდან: ცხოვრება გადაქცეულია თამაშად, სადაც რაც რეალურია დამალულია თამაშის უკან. ეს არის რეიხის „სცენის“ განმარტება. ან ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ დრამა, როგორც შესაძლებლობა ადამიანური სირთულეების გამოსახატავად, რაც შეიძლება დაკარგული იყოს ყოველდღიურობის ქაოსში. სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდა ბერძნულ დრამას, მისი პრიმიტიული მითებით, რომელთაც შეეძლოთ აუდიენციის წევრების დამარხული გრძნობების გარეთ გამოტანა და შესაბამისად კათარზისის გამოწვევა, „თერაპიის“ ადრეული ეგეოსის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული ფორმა. მაგრამ ჩვენ უნდა განვაგრძოთ ტერმინ ეგოს გარშემო არსებულ დაბნეულობასა და სირთულეებზე მსჯელობა.

5. ეგო და ნარცისი

ბრუნო ბეთელჰეიმმა(Bruno Bettelheim) აჩვენა, თუ როგორ შემოვიდა სიტყვა „ეგო“ ფსიქო-დინამიურ ლიტერატურაში, როგორც გერმანული სიტყვა “ich”-ი, რაც ნიშნავს “მე“-ს. მარტივი სიტყვის ნაცვლად, რომელიც გამოიყენა ფროიდმა, რომელსაც ყველა სწრაფად ცნობს და შეუძლია იდენტიფიცირება, ჩვენ გვაქვს „ეგო“, ფსიქიკური აპარატი, გარკვეული პრეტენზიებით ობიექტურობაზე.

ეგო-ფსიქოლოგია მიძღვნილია ეგოს განვითარებაზე, რაც ნიშნავს „მე“-ს განვითარების მხარდაჭერას, უსაფრთხო ურთიერთობების საფუძველზე, რადგან ჩემსა და თქვენს შორის ურთიერთობის გარეშე შესაბამისად ვერ განვვითარდები. სუსტი და ძლიერი ეგოები არის ადამიანები ძლიერად ან სუსტად ჩამოყალიბებული ინდივიდუალურობის გრძნობით. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ძლიერი ეგოთი ფსიქოლოგიაში ფლობს ძლიერ პიროვნულ მე-ს, და ემპირულ მე-ს, რომელმაც იცის მისი საზღვრები და შეუძლია კარგად ფუნქციონირება რეალურ სამყაროში და შემდეგ ურთიერთობებში.

ჩემს სტატიაში „ეგოს სიკვდილი“, მე მივუთითე განსხვავებაზე, რომელიც აღნიშნა კრიშნამურტიმ იმასთან დაკავშირებით, რასაც ის უწოდებს „ფუნქციონირებად ეგოს“, რაც იყო განსაზღვრული ზემოთ და „სტატუსის ეგოს“, რაც დაკავშირებულია გაზვიადებულ თვით-შეფასებასა და „პირველ-რიგში-მე“ ეგოიზმთან, რომელიც ახასიათებს არაჯანსაღ კონკურენციას. იუნგმა ტერმინი ეგო გამოიყენა ფუნქციონალური მნიშვნელობით, ტერმინ „თვითობისგან“ განსხვავებით, რაც წარმოადგენს „მე“-ს უფრო ღრმა მნიშვნელობით. ამ ღრმა მნიშვნელობის შესახებ საუბარი გვექნება სტატიის შემდეგ თავში.

„მე“ს განვითარების პროცესში არსებობს პერიოდი, რომელსაც ფროიდი უწოდებდა „ჯანსაღ ნარცისიზმს“, ეს ნაწილი არის ამაყი მისი არსებობის, მისი მიღწევების, გარეგნობის გამო და დაკავშირებული არის სიცოცხლით სიამოვნებასთან. ის უკავშირდება საკუთარ თავზე ზრუნვისა და თვით-უზრუნველყოფის ყველა ფორმას.

ქრისტიანობაში ჩვენ გვთხოვენ „გვიყვარდეს ჩვენი ახლობელი, როგორც ჩვენი თავი“, ბუდიზმში თანაგრძნობის პრაქტიკა იწყება საკუთარი თავის თანაგრძნობით, რის გარეშეც სხვების თანაგრძნობა შეუძლებელია.

Free Article

მეორადი ნარცისიზმი ერთი ადამიანის მეორესთან კავშირის გაყოფის ნევროტული პროცესია, ან ადამიანის ბუნებისგან გამოცალკევებისა. ის შეიცავს ადამიანის მიერ ბუნების დაპყრობის მცდელობის ყველა ფორმას, კვებავს ბევრ ადამიანურ კონფლიქტს, ნაციონალიზმს, ფანატიზმს, ომს და განდიდების მანიას.

სულიერების ტრადიციები ცდილობენ შეამცირონ ეგოს გავლენა, გაათავისუფლონ ადამიანი მისი ეგოიზმისაგან, რისი ერთერთი დამახასიათებელიცაა ხასიათის ჯავშანი.

კენ ვილბერს აქვს საინტერესო დისკუსია ნარცისიზმის სხვადასხვა დონეების შესახებ, სადაც ყოველ სტადიაზე ის ხედავს მე-განვითარების ჯანსაღ ზრდას და ხსნის ცნობიერის მასთან კავშირს. ასევე საუბრობს ნეგატიური ასპექტის შესახებ, როდესაც რაც ჯანსაღია ერთ სტადიაზე, შეიძლება გახდეს ხელისშემშლელი სხვა შემთხვევაში. პათოლოგიური ნარცისიზმის ზოგი საუკეთესო მაგალითი მოცემულია სპირიტუალურ მიმართულებებში, რომელთა წინამძღოლი როგორც წესი არის ქარიზმატული და ნარცისული ლიდერი (cf. “The Fall of the Light-bearer’’, by David Boadella in Self & Society, London), სადაც იერარქია იმისა თუ ვინ უფრო განვითარებულია იქმნება ეგოიზმის გავლენით და გამოიხატება იმაზე კონკურენციით თუ ვინ უფრო მეტად გასცდა თავის ეგოს. ჯეს ბერტელსენს წიგნში „ენერგია და ცნობიერება“ აღწერილი აქვს ასეთი გაუფასურების საშიშროება, ასევე ჩოგიამ ტრონგპამ მიუძღვნა მთელი წიგნი საკითხს „ სულიერი მატერიალიზმის ნამდვილი სახე“.

თუ გამოვიყენებთ ტერმინ „მე“-ს ჯანსაღი საკუთარი თავის გამოხატვის აღსანიშნავად, და ტერმინ ეგოს, როგორც პათოლოგიური ნარცისიზმის, მაშინ დავინახავთ, რომ არსებობა და

ეგო ქმნიან ორ საწინააღმდეგო პოლარობას ზემოთ ნახსენებ მატრიცაზე. არსი შეესაბამება უნაკლო მდგომარეობას, რომელიც აღწერა ლონგჩენპამ, რაც შეიცავს პიროვნული მე-ს ჯანსაღ განვითარებას: ხოლო ეგო კი შეესაბამება მცდარ მდგომარეობას, სადაც ჩვენი კონტაქტი მცირდება, იზღუდება და რომელსაც მივყავათ განმარტოვების დონის გაზრდასთან, ასევე გაუცხოებასთან, ყალბი ურთიერთობებით ნამდვილი კონტაქტების შეცვლასთან. ჩვენ ხალათივით ვეხვევით ეგოში, რასაც ლონგჩაპრა „ფიქტიური არსებობის ციხე-სიმაგრეს“ უწოდებს.

6. თვითობა და ჩრდილი

ბევრი რელიგია, როგორც ინდუიზმი ან ქრისტიანობა ქადაგებს სულის უკვდავების შესახებ. რას ნიშნავს უკვდავება? მოკვდავობა არის სხეულის სიკვდილი, ბუნების ექსპლიციტური თანმიმდევრობის დარღვევა, კონკრეტულ დროსა და სივრცეში ემპირული არსებობის დასასრული. უკვდავება ნიშნავს დასასრულის, დაზიანების მიღმა ყოფნას. იმას, რაც არ კვდება, ყოველდღიურობის მყარი დონის ჩაქრობის შემდეგ, არის ნატიფი დონე, რასაც ის გამოხატავს. ირიბი თანმიმდევრობა გრძელდება, მორფული ეტაპი არ უნდა დასრულდეს ფიზიკური სიკვდილით. კაცობრიობამ მოიფიქრა ტერმინი სული კონკრეტული სიცოცხლის განმავლობაში ჩვენი სიღრმის ექსპრესიის და მანიფესტაციისთვის. რა შეგვიძლია ჩვენ ვუწოდოთ კონკრეტულად ამ სიღრმეს, სიღრმეს, რომელიც ხელშეუხებელია? ქრისტიანობა იყენებს სიტყვა „სულს“, რაც აგრეთვე ნიშნავს „სუნთქვას“, ჰაერის ელემენტს, რომელიც უჩინარია. ინდუიზმი იყენებს ტერმინს „ატმან“, რაც ასევე სუნთქვას ნიშნავს, მაგრამ აგრეთვე მისი მნიშვნელობა არის „მე“. პატანჯალი იყენებს ტერმინს „ნათელმხილველი“, ვინც აცნობიერებს არა მხოლოდ სამყაროს, არამედ გონების ასპექტებსაც, ის ვინც აღიქვამს რეალობას უფრო ნათელი ხედვით. სუფიზმში არის ტერმინი „არსი“, როგორც ჩვენი არსებობის მიღმა მდგომი რეალობა, ხოლო ხეიმეიდ ალი იყენებს ტრემინს „არსებითი თვითობა“ რომ აღნიშნოს ჩვენი პიროვნების არსებობა. მაგრამ თავიდან მოდით განვიხილოთ სიტყვა „თვითობასთან“ დაკავშირებული გაურკვევლობა.

a) აქტიური მე(მაგ: მე ვხედავ მეგობარს), პასიური მე(მაგ: მეგობარი მხედავს მე), ჩემი თავი (ჩვეულებრივი სასაუბრო მნიშვნელობა)

b) თვით სტატუსის ეგო (როგორს „მე ვარ ეგოისტი“)

c) ქვედა ცნობიერების თვითობა (ემოციური იმპულსები, რომლებიც ნეგატიურია სხვებისთვის) (პიერაკოსი)

d) საშუალო ცნობიერების თვითობა (გამოიყენება ჰუნას ფილოსოფიაში, ზრდასრულის ცნობიერება)

e) ქვედა ცნობიერების თვითობა (გამოიყენება ჰუნას ფილოსოფიაში, სხეული და მისი ენერგიები)

f) უმაღლესი მე (ცნობიერების ცენტრი)

Free Article

g) ჭეშმარიტი „მე“ (ვინიკოტი: გულიდან მომავალი)

h) ყალბი „მე“ (ვინიკოტი: დაცვითი მექანიზმი)

i) რეალური „მე“ (ან ჭეშმარიტი მე, ან უმაღლესი მე)

j) უზენაესი მე (დიურკჰეიმი: ტრანსცენდენტული არსი)

k) ემპირიული „მე“ (ფუნქციონალური ეგო)

l) არსებითი მე (ჩვენი ყოფიერების სიღრმე)

m) თვითობა (ტრანსპერსონალური არქეტიპი, იუნგი)

n) თვითობა (ინდუიზმი: ღმერთი ატმანი=ბრაჰმანი)

რადგანაც თვითობა ინგლისურად გამოიხატება სიტყვა Self-ით, სტატიის ავტორი აღნიშნავს რომ ამ სიტყვას კაპიტალიზებული S-ით გამოიყენებს, რათა გამოხატოს „მე“-ს ფუნდამენტური არსი, უზენაესი მე, რომელიც სცდება ჩვენს პერსონალურ ინდივიდუალურობას. რამანა მაჰარშიმ ინდოელი მისტიკოსმა, წარმოადგინა ის, რაც ცნობილია დასავლეთში, როგორც ინტენსიური გასხივოსნება, ჯგუფური გამოცდილების ძლიერი ფორმა, სადაც ადამიანები სცემენ პასუხებს კითხვაზე „ვინ ვარ მე“. თუ ერთ-ერთი პასუხობს ამ კითხვაზე იმით რასაც არ წარმოადგენს, ჩნდება უფრო ღრმა იდენტობის გაცნობიერების გრძნობა.

Free Article

ფსიქოსინთეზში ამას ქვია დე-იდენტიფიკაციის პროცესი. მე არ ვარ მხოლოდ ჩემი სახელი პასპორტში, მე ვარ ამაზე მეტი. მე ვარ ჩემს სხეულზე მეტი, რაც წარმოადგენს ჩემი უნარების, შესაძლებლობების გამოვლენის არხს.

მე ვარ ჩემს ემოციებზე მეტი, რომელსაც შეუძლია ჩემი ცნობიერების დაბინდვა. მე ვარ უფრო მეტი, ვიდრე ჩემი ლოგიკური აზროვნება, რომელსაც შეუძლია ჩემი ნათელის დაბინდვა.

ბუდიზმი ქადაგებს დოქტრინა „ანატტა“-ს, მე-ს უარყოფას. მაგრამ ვინ არის ის „მე“, ვინც კვდება? და თუ არის მე, რომელიც გრძელდება, ის ჯერ კიდევ ჩემია? შემიძლია მე მის ფლობას ვიბრალებდე, ისევე როგორც მე ვფლობ მანქანას ან ჩემს სხეულს? თუ ეს არის „მე“, რომელიც არა მხოლოდ „მე“-ს წარმოადგენს, რომელიც თქვენგან მაცილებს, მაგრამ ამავდროულად არის ის „მე“, რომელიც გამოიყენება ღრმა ურთიერთობების დროს, როდესაც ჩვენ ვინაწილებთ საერთო „მე“-ს.

„თვითობა“, რომლიც ვარ მე, რომელიც წარმოადგენს ჩემს არსებობას, რომელიც არის მარცვალი, ჩემი თვისებების ყვავილი და ნაყოფი აგრეთვე ის თვითობაა, რომელიც შენ გაქვს და არის მარცვალი, ყვავილი და ნაყოფი შენი უნარების. თვისებების კომბინაციამ შეიძლება განგვასხვავოს, მაგრამ თვითონ უნარები აუცილებლად გვექნება საერთო. ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ თვისებებზე, როგორც სინათლის ფერებზე. აურა ან ენერგეტიკული ველი, რომელსაც ხედავენ ექსტრასენსები, როგორც ბრწყინვალებას არის ყველა ადამიანის ირგვლივ და აქვს სხვადასხვა ფერი. თითოეული ფერთა შეთანხმება შეიძლება იყოს განსხვავებული, ინდივიდუალური, მაგრამ ძირითადი ფერის

სპექტრი არის ფორმირებული ერთი ფერესაგან. რა შემთხვევაში აქვს აზრი არსებითობ უნარების იდენტიფიკაციას, თუ ისინი წარმოადგენს არა მხოლოდ ჩემი, არამედ ყველას პოტენციალს?

ლენგის (R.D. Laing) ლექსების კრებული შეიცავს ასეთ სტროფებს:

რაც ჩემია, არაა ჩემი
რაც მე ვარ, არაა ჩემი
რაც არ ვარ მე, ჩემია
რაც არაა ჩემი, მე ვარ

ლენგის ეპიგრაფები არის დასავლური კოანები, რომლებიც უპირისპირდება ინტელექტს იმით, რომ წარმოადგენს დებულებებს, რომელთა გაგებაც შეუძლებელია რაციონალურად აზროვნების დროს, როდესაც რეალობის მიღმა არსებული მისტიურის გარკვეულ სიღრმისული დონეებს ვეხებით. კვანტური ფიზიკა აღწევს იმავე კოანისეულ მდგომარეობას, როდესაც ცდილობს გაიგოს ურთიერთქმედება დამკვირვებელსა და რეალობას, დამნახველსა და დანახულს შორის. „გონების არ არსებობის“ ძენ ბუდიზმისეული კონცეფცია (wu shin) არ ნიშნავს სიცარიელეს, არამედ ყოფის ყველაზე მდიდარ სისავსეს. შეიძლება იმისათვის, რომ მივაღწიოთ ჩვენს ყველაზე ღრმა იდენტობას უნდა დავკარგოთ ჩვენი ჩვეულებრივი იდენტობა, პარადოქსი, რომელიც ჰგავს იესოს იგავს: „რადგან ვისაც სურს სულის ხსნა, დაჰკარგავს მას: და ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას.“
რაც განსხვავებულია სინათლიდან, რჩება ჩრდილში. ჩრდილი არის ბნელი ტყუპი, რომელსაც დაავიწყდა სინათლე. ჩრდილი ქმნის თვითობის არ არსებობის ილუზიას, იმის ილუზიას, რომ არის მხოლოდ ეგო. ჩვენ დავიბადეთ სიბნელიდან, ვკვდებით ასევე სიბნელეში, მხოლოდ ერთი სიცარიელიდან მეორეში გადასვლა არსებობს. ჩრდილი არის სასოწარკვეთილების ხმა, ღრუბელი გულზე, შიში და კანკალი არსებობის კიდეში, რომელზეც საუბრობდა კიერკეგარდი. ეს ჩრდილი, როგორც იუნგი ამბობდა, არ ქრება.
ჩვენ არ შეგვიძლია მისი უარყოფა, დავიწყება ან იგნორირება. სინათლე ჩრდილის გარეშე არის ხელოვნური სინათლე. ჩრდილს ქმნის სინათლის დაბლოკვა, მისი დაფარვა. ყველაფერი რაც დგას ჩვენს არსებობასა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის არის ჩრდილი. ჩვენ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ვცხოვრობთ მზის დაბნელებაში. მაგრამ ჩრდილს უნდა რომ დაინახონ, მას სჭირდება სინათლე. როდესაც ნათდება ის, რაც იმალება ჩრდილში ხდება მცირე ალქიმიური პროცესი, შიში შეიძლება გადაიქცეს აღტაცებად, რისხვა- შემოქმედებად, სასოწარკვეთილების ბნელი ღამე- იმედის სურნელებად. არის კიდევ ერთი რამ. ჩრდილს შეუძლია გზის მითითება: ეს არის თითი, რომელიც ბლოკზე მიგვითითებს, მიგვითითებს იმაზე რისგანაც უნდა განვთავისუფლდეთ. შეხედეთ ჩრდილის მიმართულებას და თქვენ დაინახავთ მზეს, ჩრდილის მიმართულებით განსაზღვრავთ დღის რა დროა.

კრიშნამურტიმ თქვა: იმისათვის, რომ გადაჭრათ პრობლემა, შეწყვიტეთ მისი შეცვლის მცდელობა; დაჯექით შუაში და კარგად შეხედეთ მას. მიეცით მას შუქი. ტიბეტელი ბუდისტი, ჩაიმ რინპოჩე, მედიტაციისთვის იღებს არც მეტი არც ნაკლები ყოველდღიური ცხოვრების ანტაგონიზმებს.

Free Article

7. წყარო და განხეთქილება

კაცობრიობის მთელი ისტორიის დროს, ადამიანი ცდილობდა გაეგო მისი წარმოშობის შესახებ, იქნებოდა ეს საკუთარ თავში ჩახედვით რელიგიის თუ მედიტაციის მეშვეობით, ისევე, როგორც გარემოზე დაკვირვებით ანუ მეცნიერების გზით. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება ამ საუკუნეში, ახლოვდებიან. ინდოელი მასწავლებლების სიბრძნე აპანიშადების დროს ამბობდა, რომ ატმანი არის ბრაჰმანი, თვითობა არის ღმერთი, დამკვირვებელი არის შემქმნელი. ბრაჰმანზე უპანიშადები ამბობდნენ არის: „შინაგან სამყაროში ბრაჰმანი არის ცნობიერება, ხოლო გარეგან სამყაროში- სივრცე.“

ეს არის ფუნდამენტალური წყაროს ხატი გონებისა და მატერიის დუალობას მიღმა, წყარო საიდანაც ორივე წარმოიშობა. ამასობაში კი მეცნიერება თავის მხრივ იკვლევდა სამყაროს ტელესკოპების, ელექტრონული მიკროსკოპების და სხვა მსგავსი ხელსაწყოებით და საინტერესოა, რომ მათაც დამოუკიდებლად შექმნეს საოცრად მსგავსი ხედვა. ფრედ ჰოილის, ინგლისელი ასტრონომის პოსტულატების მიხედვით, რომელმაც აღმოაჩინა ნახშირწყლების წარმოქმნის პროცესი ვარსკვლავებში, არსებობს „შემოქმედებითი ველი“, როგორც წყარო, საიდანაც სამყარო წარმოიშვა. შემდეგ ნაშრომებში ის საუბრობდა „გონიერი სამყაროს“ შესახებ, და ნათლად მიაწერს სწორედ ამ „შემოქმედებით ველს“ გარკვეულ კოსმიური ცნობიერების არსებობას. დევიდ ბომი, ცნობილი კვანტური ფიზიკოსი აღწერს ჰოლომუვმენთს (Holomovement), რეალობის ველს, რომელიც მოიცავს როგორც მატერიას ასევე გონებას, დამნახველსა და დანახულს და განიხილავს მას, როგორც ყველაფერი არსებულის საფუძველს, გარკვეული სახით სუპერ-ობიექტურ თანმიმდევრობას. ფრანგი კოსმოლოგი ჟან შარონი, რომელიც ავითარებდა აინშტაინის ფარდობითობის თეორიას კომპლექსური სახით, მუშაობდა „ნამდვილი“ (ანუ მყარ), და „წარმოსახვით“ (ნატიფ) სამყაროების რეალობასთან, ამტკიცებდა მათ მიღმა უნიდუალობის არსებობას. მათ ერთიანობას კი აღნიშნავდა უბრალოდ ტერმინით „Etre”, ანუ არსებობა. ფიზიკოსები ეძებენ ბუნების ერთიან ველს, მაგრამ აშკარაა, რომ მას ვერ იპოვიან, სანამ თავისი კალკულაციებიან ცნობიერებას გამორიცხავენ. გიოდელის თეორია ამბობს, რომ ყველა სისტემა იქნება არასრული, რადგან ის არ შეიძლება შეიცავდეს საკუთარ თავს.

ეს წყარო, როგორც არ უნდა წარმოვიდგენთ ან ინტუიტიურად შევიგრძნოთ(რელიგიის ინტერპრეტაციის შედეგად მიღებულიი ხარვეზების წარმოქმნამდე) გვაძლევს იმის შეგრძნებას თუ რა არის მთლიანობა. არსებობის მატრიცაზე ვერტიკალური ღერძის საწყისი გვაძლევს წარმოდგენას ჰორიზონტალური ღერძის საწყისის შესახებ. სისრულე არის მატერიის სუბატომურ სტრუქტურაში. ჩვენ განვაცალკავეთ ეს სისრულე და ჩვენსავე საზიანოდ შევქმენით ხიროსიმა და ჩერნობილი. ეს მთლიანობა არსებობს 15 ათასი სინათლის წლის დიამეტრის მანძილზე, და მთელი ეს სამყარო ზოგიერთი ასტრონომის აზრის მიხედვით საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ მასში არსებობდეს ერთადერთი პლანეტა, სადაც არის სიცოცხლე. როდესაც ორი ელექტრონი იმუხტება საწინააღმდეგო მიმართულებით კოსმოსის ნებისმიერ ადგილას, ისინი მომენტალურად უკავშირდება ერთმანეთს, არა ლოკალურად, ისეთი გზით, რომელის სუბ-კოენური აზროვნებისთვის გარეშე, ჩვენი გონებისთვის გაუგებრია. ეს მთლიანობა არსებობს მატერიასა და გონებას, კულტურასა და ბუნებას შორის, ერთ ადამიანსა და სხვა ადამიანს შორის ბალანსში. დევიდ უესდელმა აჩვენა რომ გაყოფა დედასა და ნაყოფს, ჩვილსა და დედას, ებრაელებსა

Free Article

და არაბებს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, არის პროტოტიპის გაყოფა

მაგრამ ადამიანური ტენდენცია გაყოფისკენ (განხეთქილებისკენ) იმდენად ღრმადაა ჩამჯდარი კაცობრიობის ფსიქიკაში, რომ როგორც კი დასრულდა გეოპოლიტიკური დაყოფა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, გამოჩნდა გაყოფის სხვა ფორმა (ნაციონალიზმის აღმასვლა, შიდა კონფლიქტები მანამდე „გაერთიანებულ“ ქვეყნებში ან ქვეყნების ჯგუფში).

წყაროს საწინააღმდეგოს წარმოადგენს გაყოფა, ბზარი კოსმიურ კვერცხში; ეს არის განცალკევებულობის ილუზია, რადგანაც სინამდვილეში გაყოფილი ნაწილებიც ყოველთვის რჩება მთელის შემადგენელი. ძირითადი გაყოფა არის კოსმოსური ვერსია, იმისა რასაც მაიკლ ბალინტი უწოდებს „ძირითად ნაკლს“, ხოლო ლონგჩენპა ნაკლს. ეს იწვევს იმას, რომ ჩვენ გვავიწყდება ჩვენი საწყისი, ვკარგავთ მთლიანობასთან კავშირს. ბუდიზმში ეს აღწერილი არის როგორც ყოფნის დაკარგვა, სუფიზმში - არსის დაკარგვა, ქრისტიანობაში როგორც დაცემა. მაგრამ ყოფნა არ შეიძლება დაიკარგოს, შესაძლებელია დაიკარგოს მხოლოდ მასთან ჩვენი კონტაქტი.

სასოწარკვეთილების შავი ხვრელი შეიძლება აღქმული იქნას სხვადასხვაგვარად, შეიძლება როგორც ცნობიერების სხვა მდგომარეობაში წარმოქმნილი თეთრი ხვრელი, როგორც ვცდილობდი წარმომედგინა თავში „მუცელში, სამარეში და სულში“. არსი არ შეიძლება დაიკარგოს. ის ხელშეუხებელია. ედმუნდ ჰასსერლმა ტრანსცენდენტურ მე-ზე საუბრის დროს თქვა, რომ ის დარჩება მთელი სამყაროს განადგურების შემთხვევაშიც კი.

Free Article

მადლი არის ის, რასთანაც არ შეიძლება დაიკარგოს ან არ დაიკარგოს კონტაქტი. ნელსონ მანდელა 27 წლიანი პატიმრობის შემდეგ დაბრუნდა გულში ყოველგვარი წყენის გარეშე. გოგონა, რომელიც კვდებოდა საკონცენტრაციო ბანაკში, წერდა, „ყოველ დღე ვიყურები გარეთ და ვგრძნობ ნდობას სამყაროს მიმართ“.

8. შთაგონება და ექსპირაცია.

დაბადება სრულდება პირველი ამოსუნთქვით, სიკვდილი იწყება ბოლო ამოსუნთქვით. ცხოვრება არის ბალანსი ანაბოლიზმსა და კატაბოლიზმს შორის, საკვების მიღებასა და საკვების განადგურებას შორის. კვების და გარეთ გამოყოფის ეს სახე ფიზიკურობის მიღმაც მოქმედებს. ჩვენ გვჭირდება ჩვენი გამოცდილებების მეტაბოლიზები, გადამუშავება და მათი წვენის შეთვისება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ნარჩენების გამოდევნის პარალელურად, რომლებიც უკვე აღარ არის სასარგებლო.

თერაპია ხშირად არის გზა, რომ გავუშვათ ძველი პატერნები, დაძაბულობა, გამოვხატოთ დამარხული გრძნობები, გავუშვათ ძველი იდენტობა. განკურნებას შეიძლება შევხედოთ, როგორც საკვებთან კონტაქტს ფიზიკურად, ემოციურად, მენტალურად და სპირიტუალურად. ძველი პატერნებისგან გამოსვლა შეზღუდული იქნება შედეგების მხრივ, თუ ამავე დროს ჩვენ არ გავხსნით ახალ არხებს, რათა მივიღოთ სუფთა ჰაერი, შთაგონება, ახალი იმედები და მეტი სინათლე. ახალი საკვების მიღება შეიძლება

რთული პროცესიიყოს, თუ ორგანიზმი დაცობილია ძველი ბლოკებით და მას უჭირს ასიმილირება. თერაპია და განკურნება არის პიროვნული ცვლილებების კატაბოლიზმი და ანაბოლიზმი; ისინი ჭირდებიან ერთმანეთს, როგორც ამოსუნთქვა და ჩასუნთქვა.

ეს არის მათი პოლარობა, მათი დუალობა. მხოლოდ ერთი პოლუსის განვითარების შემთხვევაში წარმოიქმნება პრობლემება. სულიერი მოღვაწეობა,რომელიც ცდილობს ცნობიერების უმაღლესი დონეების განვითარებას და ამავე დროს ახდენს დაბალი დონეების უგულებელყოფას ან რეპრესირებას, სწრაფად ხდება არასტაბილური პირამიდა, რომელიც ქვიშაზე ინგრევა. თერაპიულმა პროცესმა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ თავდაცვის მექანიზმების მოხსნაზე და წარსულის ტკივილისგახსენებაზე, შეიძლება დაგვტოვოს ღია ჭრილობის ამარა.

ამ პროცესების დუალობის მიღმა არის მათი ერთიანობა. თერაპია მოდის ბერძნული საფუძვლიდან, სადაც ნიშნავდა: ზრუნვას. ხოლო განკურნება (ინგლ.Healing) მოდისსიტყვიდან მთლიანი (ინგლ.”whole”). ვიღაცაზე ზრუნვა ნიშნავს დაეხმარო მას აღმოაჩინოსსაკუთარი მთლიანობა, ანუ ჯანმრთელობა. იყო მთლიანი ანუ ჯანმრთელი ნიშნავს იყო მზრუნველი საკუთარი თავის, მეზობლის, პლანეტის მიმართ.

განვითარების გზა, გამოცდის გზაცაა. წინ ბევრი მახეა. ჩვენ შეიძლება შეგვაცდინოს მანიპულატორმა თერაპევტმა, ვისაც სურს რომ წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით წაგვიყვანოს.ჩვენ შეიძლება მოვიხიბლოთ ეგზოტიკური მედიტაციის სისტემით, რომელიც სრულდება იმით, რომ გვაცილებს რეალობას. ჩვენი ჭეშმარიტი გზა არის ის, რომელიც გვეხმარება მოვიტანოთ სინათლე დედამიწაზე, შევიგრძნოთ მიწის სინათლე, ჩვენი სხეულის სულიერება და სულისგანსხეულება. მაშინ ჩვენი გასეირნება სულის-შექმნის ველზედაყრდნობილი იქნება ფეხებით მიწაზე. სომა, რომელიც ვითარდება ამ გზაზე, გაიხსენებს საკუთარი „მე“-ს წყაროს და მოქმედებები დედამიწაზე უფრო და უფრო მეტად განხორციელდება გულიდან.

Free Article

რეკომენდებული ლიტერატურა:

რეიხ, ვილგელმი - ქრისტეს მკვლელობა, რენდლი 1952.

კელემანი, სტენლი-განსხეულების გამოცდილება, ბერკლი 1987.

ეკლსი, სერ ჯონი და პოპერი, კარლი -თვითობა და მისი ტვინი, ლონდონი 1977 წელი.

ზოარი, დანაჰი- კვანტური თვითობა, ლონდონი 1989.

ჰერბერტი, ნიკ-კვანტური რეალობა, ლონდონი 1985.

ბომი, დავიდი- მთლიანობა და ფარული წესრიგი, ლონდონი 1980 წელი.

პენროუზი, როგერი „იმპერატორების ახალი გონება“ ოქსფორდი 1989.

ბომი, დავიდი „მეცნიერებთან და ბრძენებთან დიალოგში“ გამომცემელი რენე ვებერი ლონდონი 1986.

ალმასი, ა. -ძვირფასი მარგალიტი, ბერკლი 1988.

თეთრი, სტუარტი-დაუფარავი სამყარო- ნიუ ორკი 1940.

შელდრეიკი, რუპერტ -წარსულის აწმყოში ყოფნა- ლონდონი 1988.

ანდრადე, ჰერნანი -სულის სხეულებრივი თეორია- სან პაულო 1959.

ლონგჩენპა-მოხრილი ჩვენი კომფორტისთვის- Vol. II (რედაქტირებულია ჰერბერტ გიუნთერის მიერ) ბერკლი 1976.

კიდსი, ჯონმა-ნაკრები წერილები, ლონდონი 1945 წელი.

ჰილმანი, ჯეიმსი-ფსიქოლოგიის ახალი ხედვა, ლონდონი 1975.

არისტოტელე,De Anima, ლონდონი 1986.

რეიხ, ვილგელმი "Homo normalis & the child of thefuture" ოგრონომიურ ფუნქციონალიზმში,Vol. 1, No.1, Rangeley 1990.

ბერნი, ერიკი- თამაშები, რომლებსაც ხალხი თამაშობს

რეიხი, ვილჰელმი- კოსმოსური სუპერიმპოზიცია- რენდლი 1952.

ბატელჰაიმი, ბრუნო- ფროიდი და ადამიანის სული- ლონდონი 1982.

ბოადელლა, დავიდი „ეგოს სიკვდილი" ენერგია და პერსონა Vol.11, Weymouth, 1980.

უილბერი, კენი. ცნობიერების ტრანსფორმაცია. ბოსტონი 1986.

ბერტელსონი Jes Energi og Bevidsthed, კოპენჰაგენი 1984.

ტრუნგპა, ჩოგიამი -სულიერი მატერიალიზმი, ბოულდერი 1973.

ბოადელლა, დავიდი „ სინათლის მატარებლის დაცემა"-თვითობა და საზოგადოება, ლონდონი.

იოგა სუტრები (გამომც. გიორგ ფეიერშტეინ) როჩესტერი Vt.1979.

Laing, Rd. კვანძი, ლონდონი 1975.

კრიშნამურტი, ჯიდუ- პირველი და ბოლო თავისუფლება, ლონდონი 1964.

კიერკეგარდ, სორენი- შიში და კანკალი

ჰოილის, ფრედი-ჭკვიანი სამყარო, ლონდონი 1983.

ჟან შარონი- რთული ფარდობითობა, ნიუ ორკი 1988.

უესდელი, დავიდი- ფსიქო-სოციალური ანალიზის საფუძვლები,"ენერგია და ხასიათი" Vo1.14, No.2, Vo1.16, No.2 1983,1985.

ბალინტი, მაიკლი- ძირითადი შეცდომა, ლონდონი 1952.

Free Article

REFERENCES

1. **Reich, Wilhelm**
   The Murder of Christ, Rangeley 1952.
2. **Keleman, Stanley**
   Embodying experience, Berkeley 1987.
3. **Eccles, Sir John & Popper, Karl**
   The Self and its Brain, London 1977.
4. **Zohar, Danah**
   The Quantum Self, London 1989.
5. **Herbert, Nick**
   Quantum Reality, London 1985.
6. **Bohm, David**
   Wholeness and the implicate order, London 1980.
7. **Penrose, Roger**
   The Emperors new mind, Oxford 1989.
8. **Bohm, David**
   In Dialogues with Scientists and Sages, ed. Renee Weber, London 1986.
9. **Almaas, A.**
   THe Paerl of Great Price, Berkeley 1988.
10. **White, Stuart**
    The Unobstructed Universe, New York 1940.
11. **Sheldrake, Rupert**
    The Presence of the Past, London 1988.
12. **Andrade, Hernani**
    Teoria Corpuscular do Espirito, Sao Paulo, 1959.
13. **Longchenpa**
    Kindly bent to ease us Vol. II (Edited by Herbert Guenther) Berkeley, 1976.
14. **Keats, John**
    Collected Letters, London 1945.
15. **Hillman, James**
    Revisioning Psychology, London 1975.
16. **Aristotle**
    De Anima, London 1986.
17. **Reich, Wilhelm**
    "Homo normalis & the child of the future" in Orgonomic Functionalism Vol. 1, No.1, Rangeley 1990.
18. **Berne, Eric**
    Games people play.
19. **Reich, Wilhelm**
    Cosmic Superimposition, Rangeley, 1952
20. **Bettelheim, Bruno**
    Freud and man's soul, London 1982.
21. **Boadella, David**
    "The death of the ego" in Energy & Character, Vol.11, Weymouth, 1980.
22. **Wilber, Ken**
    Transformations of Consciousness. Boston 1986.
23. **Bertelsen, Jes**
    Energi og Bevidsthed, Copenhagen, 1984.
24. **Trungpa, Chogyam**
    Cutting through spiritual materialism, Boulder, 1973.
25. **Boadella, David**
    "The fall of the light-bearer" in Self and Society, London.
26. **Patanjali**
    Yoga Sutras (ed. Georg Feuerstein), Rochester, Vt.1979.
27. **Laing, Rd.**
    Knots, London 1975.
28. **Krishnamurti, Jiddu**
    First & last freedom, London 1964
29. **Kierkegaard, Soren**
    Fear and Trembling
30. **Hoyle, Fred**
    The Intelligent Universe, London 1983.
31. **Charon, Jean**
    Complex Relativity, New York 1988.
32. **Wasdell, David**
    "Foundations of Psycho-social Analysis", in Energy & Character, Vo1.14, No.2, Vo1.16, No.2 1983, 1985.
33. **Balint, Michael**
    The Basic Fault, London 1952.

Free Article

Free Article



If you wish to receive more information about the reissue of the journal, we invite you to visit our website www.energyandcharacter.com, where you can get information about how and where to buy them.

www.energyandcharacter.com
journal@energyandcharacter.com
+34 680 457 788 - 620 012 111